1937

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1937 წ. იანვრის 27. № 1 ტფილისი.

შინაარსი

მრეწველობა.

1. საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

2. საქართველოს სსრ-ის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

3. საქართველოს სსრ-ის სატყეო მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

4. ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხნისათვის ამხ. ს. ა. კუდრიავცევის სახელის მინიჭების შესახებ.

ფინანსები.

5. „საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების თაობაზე“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

განათლება.

6. საარქიტექტურო განათლების შესახებ.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში საარქივო საქმის მოწესრიგების შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

8. იმ დოკუმენტების ნუსხის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

მრეწველობა

1. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსდეს საქართველოს სსრ-ის კვების მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატი.

სრ. საქ ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1936 წ. დეკემბრის 15. № 190.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 290 №-ში 1936 წ. დეკემბრის 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ-ის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დაარსდეს საქართველოს სსრ-ის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. დეკემბრის 17. № 191.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 292 №-ში 1936 წ. დეკემბრის 18.

---

3. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ-ის სატყეო მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დაარსდეს საქართველოს სსრ-ის სატყეო მრეწველობის საკავშირო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატი

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. დეკემბრის 19. № 192.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 293 №-ში 1936 წ. დეკემბრის 20.

---

4. დადგენილება ც.ა.კ.

ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხნისათვის ამხ. ს. ა. კუდრიავცევის სახელის მინიჭების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილებულ იქნას ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხნის მუშაკებისა და მოსამსახურეთა შუამდგომლობა აღნიშნული ქარხნისთვის ამხ. ს. ა. კუდრიავ-ცევის სახელის მინიჭების შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1936 წ. დეკემბრის 26. № 193.
ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 300 №-ში 1936 წ. დეკემბრის 28.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

5. დადგენილება ს.კ.ს.

„საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების თაობაზე" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩითვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 24-ის დადგენილება „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 1-ლი №-ი, მუხ. მე-7; მე-15 №-ი, მუხ. 180);

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 1-ის დადგენილება „საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების განგრძობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 96).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. დეკემბრის 26. № 1735.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

6. დადგენილება ს.კ.ს.

საარქიტექტურო განათლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის დიდი მხატვრულ-არქიტექტურული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, არქიტექტორ-მხატვართა არსებული კადრები საქართველოში საკმარისი არ არის, ხოლო არქიტექტორთა კადრების თვალსაჩინო ნაწილი საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამისდა მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს სამხატვრო აკადემიასთან საარქიტექტურო ფაკულტეტი სწავლების ხუთი წლის ვადით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—შეიმუშაოს, სამხატვრო აკადემიას და საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად, ერთი დეკადის ვადაზე მოსამზადებელი საარქიტექტურო კადრების პროფილი და ფაკულტეტის სასწავლო გეგმები.

3. საარქიტექტურო ფაკულტეტზე 1936/37 წლებში მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 15 კაცით.

4. მოეწყოს სამხატვრო აკადემიასთან საარქიტექტურო ფაკულტეტის ბაზაზე არქიტექტორების მხატვრული კვალიფიკაციის ამაღლების წლიური კურსები. კურსების კონტინგენტი განისაზღვროს 25 კაცით.

5. სახელმწიფო ბიუჯეტით არქიტექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებათათვის გათვალისწინებული სახსარი გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სამხატვრო აკადემიის საარქიტექტურო ფაკულტეტისა და საარქიტექტურო კურსების მოსაწყობად და შესანახად.

6. ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გაითვალისწინოს 1937 წლის ბიუჯეტით სამხატვრო აკადემიის საარქიტექტურო ფაკულტეტისა და საარქიტექტურო კურსების შესანახად საჭირო სახსარი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მ. დ. ა. **გ. ყურულოვი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. დეკემბრის 8. № 1629.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში საარქივო საქმის მოწესრიგების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ მთელ რიგ სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებსა და წამოწყებებში საარქივო საქმე მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ბევრ შემთხვევაში დიდი სამეცნიერო-საისტორიო, ოპერატიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო საარქივო მასალა ინახება სრულიად უაღრიცხვოდ, სავსებით არანორმალურ პირობებსა და შეუფერებელ სათავსებში.

განსაკუთრებით შეუწყნარებელ მდგომარეობაშია შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, შემნახველი სალაროების და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს, „სახელგამის“ გამომცემლობისა და კალინინის სახელობის №-1ლი ქარხნის არქივები. ზოგიერთ სახალხო კომისარიატსა, საქალაქო და სარაიონო დაწესებულებასა და სასოფლო საბჭოში (ტფილისის საქალაქო არქივი, ლუქსემბურგის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის არქივი და სხ.) ძვირფასი საარქივო მასალა დაღუპულია, დაზიანებული და განადგურებული.

არქივების ასეთი მდგომარეობა აიხსნება, პირველ ყოვლისა, ამ საქმის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის არა სათანადო შეფასებით,—მისდამი არა საკმარისი ყურადღებით ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელთა მხრით,—კვალიფიცირებულ საარქივო მომუშავეთა ნაკლებობით და სხვა მისთ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში საარქივო საქმეს მოსაწესრიგებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიტებსა, ცენტრალურ დაწესებულებებსა და ადგილობრივ ორგანოებში სავალდებულოა შემდეგი ძირითადი დოკუმენტებისა და მასალის გადარჩევა არქივში შესანახად:

ა) რაც არეკლავს უწყებული სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოს მუშაობის არსებითს მხარეს სოციალისტურ მშენებლობაში, აგრეთვე რაც არეკლავს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგის მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ძირითად პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რასაც სამეცნიერო და საისტორიო მნიშვნელობა აქვს;

გ) რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უწყებული სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოს ოპერატიული მუშაობისათვის, აგრეთვე რაც საჭიროა როგორც საცნობო მასალა მოსახლეობის ან სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების საჭიროებისათვის მომსახურეობის გასაწევად.

2. გამოყოფილ იქნას არქივები სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში ამ კომისარიატებისა და დაწესებულებების განყოფილებათა უფლებებით. საქალაქო და სარაიონო არქივები გამოყოფილ იქნას საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა უფლებებით. არქივები საქალაქო და სარაიონო დაწესებულებებში გამოყოფილ იქნას ცალკე ნაწილების უფლებებით.

3. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ერთი თვის ვადაზე საქალაქო და სარაიონო არქივები სათანადო სადგომებით და გაწყობილობით,—ისე, რომ ეს არქივები 1937 წლის თებერვლის 15-დან შეუდგნენ 1933 წლამდე არსებული და 1933 წლის საარქივო მასალების მიღებას სასოფლო საბჭოების, კოლექტიური მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისაგან და ამ მასალების მოწესრიგებას.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს წარდგენისამებრ შეიტანოს 1937 წლის ბიუჯეტში სათანადო სახსარი საქალაქო და სარაიონო არქივების დამატებითი გაწყობისათვის.

5. მიენდოს ტფილისის საქალაქო საბჭოს—მოაწყოს ერთი თვის ვადაზე საქალაქო არქივი და გადასცეს მას მუნიციპალური არქივის ყველა ფონდი, აგრეთვე მოაწყოს სარაიონო არქივები სარაიონო საბჭოებთან და გამოყოს მათთვის სათანადო ბიუჯეტები.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებს—გადასინჯონ არქივთა მომუშავეების შედგენილობა და 1937 წ. თებერვლის 1-მდე შეარჩიონ არქივებში სამუშაოდ ნაცადი და კვალიფიციური მომუშავენი, რომელთაც კარგად იციან უწყებული სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების მუშაობა და საქმეთა ხასიათი.

7. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ დაწესებულებას და ადგილობრივ ორგანოს—ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობით:

ა) შეიმუშაოს 1937 წ. მარტის 1-თვის იმ საქმეებისა და მასალების ნუსხა, რაც ამოკრეფილ უნდა იქნას უწყებული სახალხო კომისარიატის (ცენტრალური დაწესებულების) არქივში შესანახად, და განსაზღვროს მათი შენახვის ვადები, აგრეთვე შეიმუშაოს იმ საქმეების ნუსხა, რაც საარქივო ორგანოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გადაეცეს; ეს ნუსხა დამტკიცებულ უნდა იქნას სათანადო სახალხო კომისრის ან ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ პირადად, ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით; იმავე ვადაზე შეიმუშაოს და დაამტკიცოს, ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია სახალხო კომისარიატში (ცენტრალურ დაწესებულებაში) საარქივო მასალის აღრიცხვისა და შენახვის წესის შესახებ;

ბ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1937 წ. მარტის 1-თვის, საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით, ასეთივე ნუსხები და ინსტრუქციები უწყებული სახალხო კომისარიატის (ცენტრალური დაწესებულების) დაწესებულებათა მთელი სისტემისათვის;

გ) გადაათვალიეროს 1937 წ. მარტის 15-თვის სახალხო კომისარიატის (ცენტრალური დაწესებულების) ყველა საარქივო მასალა და ამოკრიფოს ისეთი მასალა, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში გათვალისწინებულ მოთხოვნათ არ შეესაბამება;

დ) გადარჩეული საარქივო მასალის სათანადო შენახვისათვის უზრუნველყოს 1937 წ. თებერვლის 1-მდე არქივები ჯეროვანი ტექნიკური პირობებით, სახელდობრ: მომარჯვებული სადგომებით, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ გათბობა, ბუნებრივი განათება, ვენტილაცია და სხვა მისთ., აგრეთვე უზრუნველყოს საჭირო გაწყობილობით (კარადები, ფიცარნაგები, მტვერსასრუტავები და სხვა მისთ.);

ე) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებმა, ცენტრალურმა დაწესებულებებმა, საქალაქო საბჭოებმა, სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და ყველა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ გადასინჯონ ერთი თვის ვადაზე, თუ როგორ არის დაყენებული საქმისწარმოება, და იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი შენიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად, შეიმუშაონ საქმისწარმოების კლასიფიკაცია და თვითეული საკალენდრო წლის ბოლოს დამთავრებული და კანცელარიულად მოწესრიგებული საქმეები გადასცენ თავიანთ არქივებს;

ვ) სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების სისტემის ცალკეულ დაწესებულებათა ლიკვიდაციის შემთხვევაში გაითვალისწინონ ლიკვიდაციის შესახები ბრძანებით ლიკვიდირებული დაწესებულების არქივის გამოყენებისა და გადაცემის წესი.

8. პასუხისმგებლობა არქივის მდგომარეობისათვის დაეკისროს, გარდა არქივის გამგისა, აგრეთვე უწყებული სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების ხელმძღვანელს.

9. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—შეამოწმონ ერთი თვის ვადაზე, ადგილობრივი საარქივო ორგანოების მონაწილეობით, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონებისა და სოფლების დაწესებულებათა (სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საბჭოთა მეურნეობები,

ეროვნული

კოლექტიური მეურნეობები, სასოფლო საბჭოები და სხ.) არქივების მდგომარეობა, ხოლო სახალხო კომისარიატებმა (ცენტრალურმა დაწესებულებებმა) შეამოწმონ მათ ქვემდებარე დაწესებულებათა და წამოწყებათა (ტრესტები, სამმართველოები, ფაბრიკები, ქარხნები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, სასწავლებლები და სხვ.) არქივების მდგომარეობა და იხმარონ პრაქტიკული ღონისძიებანი ყველა იმ ნაკლოვანების თავიდან ასაცილებლად, რაც ხელს უშლის არქივების მოწესრიგებას.

10. საარქივო მასალის მოსპობისათვის არსებული წესების წინააღმდეგ ან ამ მასალის გაფანტვისათვის დამნაშავენი მიცემულ უნდა იქნან კანონიერ პასუხისგებაში.

11. წინადადება მიეცეს „სოიუზუტილის" ორგანოებს—მიიღონ ხელმე დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან მაკულატურა მარტოოდენ საარქივო ორგანოების ორდერებით.

12. დაეკისროს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს ინსტრუქტაჟი და მეთვალყურეობა საარქივო მასალის შენახვისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში. ასეთივე მოვალეობა სათანადო დაწესებულებათა არქივების მიმართ დაეკისროს საქალაქო და სარაიონო არქივებს.

13. დაევალოს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს—შეამოწმონ არა ნაკლებ, ვიდრე წელიწადში ორჯერ, საარქივო საქმის მდგომარეობა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში და არა ნაკლებ, ვიდრე წელიწადში ერთხელ,—საქალაქო, სარაიონო და სასოფლო დაწესებულებებში.

14. მიენდოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს—მოაწყოს სამთვიანი კურსები საქართველოს სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულებების არქივთა არა ნაკლებ, ვიდრე 25 მომუშავის გადასამზადებლად წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, და ამ კურსების ხარჯი დააკისროს სათანადო დაწესებულებებს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებებს—უზრუნველყონ აუცილებლად თავიანთი დაწესებულებებს მომუშავეთა მივლინება ამ კურსებზე.

15. 1937 წლის მარტში მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ ცენტრალური საარქივო სამმართველოს მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების მსვლელობისა და საქართველოს სს-ში საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. დეკემბრის 28. № 186/1792.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 16 №-ში 1937 წ. იანვრის 20.

4075

სასამართლო წესებილება და სამართლის წარმოება

8. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 115), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-9 პუნქტი ა. კარის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126), მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად . . . . .]

„9) განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შესანახი სამკურნალოების ანგარიშებს მკურნალობის სასყიდლის შესახებ“.

F-1957

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. დეკემბრის 26. № 1753.

ტფილისი.

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის ფასი 1937 წლისათვის

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე— 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე— 5 მან.

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

უფასოდ დაგზავნისათვის 1937 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	3
3	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	5
4	ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის საოლქო სამმართველოებს	2
5	ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.	3
6	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
7	სასოფლო საბჭოებს	1
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს	10
9	ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და ავტონომიური ოლქის მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	საქართველოს სსრ პროკურატურას	5
12	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის პროკურატურებს.	3
13	სარაიონო პროკურორებს	1
14	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 20 კაპ.

გამოსცემელი საქ. სსრ ს. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1937 წ. № 1. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ. 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 5/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/I; ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 16916 საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 34